12 აპრილი — ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომაა!

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №7(93) 2015 წ. 1-15 აპრილი ფასი 50 თეთრი

14 აპრილი „დედა ენის" დღეა!

ლადო ასათიანი

ქართული ენა

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!
მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა
შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხლტომა,
მყინვარების ღვთიურ ბრწყინვალებით დნობა,
ჯაგნარებში ირმის ჯოგის ნავარდობა,
გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება –
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება!
უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა,
მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს,
სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს
და ვარსკვლავი ზღვებზე
როგორ მოგზაურობს.
ან მთვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში
რა ტკბილია ფარულ სიყვარულის შიში.
როცა ღამისმთევლებს ლხინი გაუმართავთ
და სიზმრები როცა, სთვლემენ
სასთუმალთან...
საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!

გიორგი ლეონიძე

ქართულო სიტყვავ

პირველ მოწყვეტილ იების დღიდან,
მე ვარ დამწვარი შენი მსახური,
შენი თაფლი და მარილი მზრდიდა,
მზე შენ დამწერე და გაზაფხული
შენ უკვდავი რძით დამაძუძურე,
შხეფი ნათლისა სულში დასძარი;
ჩემი დროშა ხარ მოიერიშე,
ჩემი ვენახი, ჩემი ტაძარი!
შენზე უჭკნობი და დიდებული
რაღამ შექმნას და ვიღამ დახატოს,
გულზე ხარ ცეცხლად მოჭიდებული,
ქართველი ხალხის სულის ღადარი!
ფოლადნადებო, ვარდში ხვეულო,
თუ დაგივიწყო, შემახმეს ენა!
სისხლსაც შენ მოგცემ მე წვეთეულად,
სისხლის წინწკალსაც უკანასკნელად,
შენ უკვდავების ჩამონადენო,
მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო, –
ქართულო სიტყვავ,
ქართულო სიტყვავ!

ჩვენს მუნიციპალიტეტში

უდაბნოელი პატარებისათვის

მალე ახალმოსახლეობას იზეიმებენ

უდაბნოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი ნელი კორძაია) იმ ორსართულიანი შენობის პირველ სართულზეა განთავსებული, რომელიც ბოლო ორი ათეული წელია ხელის შეშველებას, შერემონტებას ითხოვს. თუმცა, აქაური თანამშრომლების – მენეჯერის, აღსაზრდელთა მშობლების ძალისხმევით თავად დაწესებულების აღსაზრდელთა ორი ჯგუფი ისევ იმ ფართშია განთავსებული, სადაც არც წყალი ჩამოსდით და შეძლებისდაგვარადაც აქვთ შექმნილი პირობები. აქ მოსულ სტუმრებს ულამაზესი გოგო-ბიჭები ღიმილითა და ინტერესით ხვდებიან და გაფაციცებით ისმენენ მათთვის და არა მარტო მათთვის სასიხარულო ამბავს მალე, ძალიან მალე ისინი ახალ შენობაში გადავლენ, სადაც ლამაზი, ნათელი სამეცადინო ოთახებია, ულამაზესი სამზარეულო ოთახი და ა.შ. და ა.შ.

შენობაში სულ უმნიშვნელო სამუშაოებიღაა შესასრულებელი – იატაკის წესრიგში მოყვანაა საჭირო და ფანჯარაზე ბადის გაკვრა.. ამ დღეებში უდაბნოელ პატარებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი ესტუმრათ, გაეცნოთ, მოეფერათ და ძალიან მოუწონათ ის შენობა, სადაც უდაბნოელი პატარები გადავლენ.

საბავშვო ბაღის ახალი შენობა

გამგებლის წარმომადგენელი უდაბნოში ჯამბულ მარგველანი, ბაღის მენეჯერი ნელი კორძაია, მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი შენობის დათვალიერებისას

სამეცადინო ოთახი პატარების მოლოდინში

სოფლის მეურნეობა

ვაზის გასხვლა და ფორმირება

სხვლის მიზანი და წესები

სხვლა ერთ-ერთი მთავარი აგროტექნიკური ღონისძიებაა, რომლის მიზანია, რეგულარულად უხვი და მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღება. გასხვლის საშუალებით მყარდება სასურველი შეფარდება ვაზის ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობას შორის. ამ ღონისძიების სწორად ჩატარებით მივაღწევთ:

1. ვაზის მსხმოიარობაში ადრე შესვლას;
2. ყურძნის ხარისხის გაუმჯობესებას;
3. რეგულარულად მყარი მოსავლის მიღებას;
4. რქის დროულად და კარგად მომწიფებას;
5. საფორმე ელემენტების სწორად განვითარებას.

ვაზის ფორმირება

ახალგაზრდა ვაზი ისე უნდა გაისხლას, რომ თავიდანვე შეიქმნას ხელსაყრელი პირობები მისი უკეთესი ზრდა-განვითარებისა და მსხმოიარობის დაჩქარებისათვის. ვაზის ფორმირებისათვის საჭირო რაოდენობის შტამბის გამოყვანა სხვლის პირველი წლიდანვე იწყება. შტამბის სიმაღლე აღმოსავლეთ საქართველოში – 50-60, დასავლეთ საქართველოში (იმერეთსა და რაჭა ლეჩხუმში) – 60-70 სმ, ხოლო მეტად ჭარბტენიან რაიონებში და ვაზის სუფრის ჯიშებისათვის 80-100 სმ-ს უდრის.

ფორმირების დასაჩქარებლად დარგვის პირველ წელს თითოეულ ვაზზე დატოვებულ უნდა იქნას 2-3 ყლორტი და დაკავდეს საყრდენზე. თუ ვაზზე მხოლოდ ერთი ყლორტია, მას წვერი უნდა წაეწყვიტოს 3-4 ფოთლის დატოვებით. მასზე განვითარებული ნამხრევებიდან ქვედა ორი დარჩება შტამბის გამოსაყვანად, დანარჩენი კი მოეცლება ერთი ფოთლის დატოვებით.

ვაზის ძირითადი ფორმებია: თავისუფალი ფორმა და ქართული ორმხრივი შპალერი.

თავისუფალი ფორმა. სხვლის ეს წესი, სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, ვაზის გარკვეულ ჩარჩოებში ჩაყენებას არ ითვალისწინებს.

ახალშენ ვენახში თავისუფალი ფორმის მისაღებად, გასხვლის პირველ წელს ვაზზე შეირჩევა 2-3 რქა, აქედან, ზოგი გაისხვლება პირველი მავთულის სიმაღლეზე, ზოგი კი მეორე მავთულის სიმაღლეზე.

მაისში ვაზი უნდა გაიფურჩქნოს და თითოეულ რქაზე დატოვებულ იქნას 2-3 ზედა ყლორტი.

გასხვლის პირველ წელს ვაზზე შეიძლება 4-6 რქის დატოვება. აქედან ზოგი გაისხვლება სანაყოფედ, ზოგი სამამულედ და პირველ და მეორე მავთულზე დაკავდება.

შემდეგ წლებში ყურადღება ექცევა ვაზის რქის განვითარებას და მათ სიძლიერეს. თუ წინა წელს დატოვებული კვირტები კარგად განვითარდა, მეორე წელს შეიძლება უფრო მეტი სანაყოფეს დატოვება . თითოეული მათგანი სანაყოფედ გაისხვლება 6-10 კვირტზე.

ქართული ორმხრივი შპალერი. ამ ფორმისას ვაზზე ტოვებენ ორ სამამულე და ორ სანაყოფე რქას. სამამულე ისხვლება 2 კვირტზე, სანაყოფე კი რქის სიძლიერის მიხედვით 7-12 კვირტზე. ეს ფორმა ძირითადად იმ ვენახებში გამოიყენება, სადაც ვაზის კვების არე 2-2,5 კვ. მეტრს არ აღემატება.

გასხვლის პირველ წელს ძლიერ ვაზზე შეირჩევა ორი ერთმანეთის მოპირდაპირედ გაწყობილი რქა, რომელიც შტამბის სიმაღლეზე გაისხვლება და ვერტიკალურად აიკვრება.

კვირტების განვითარების შემდეგ მაისის პირველ დეკადაში თითოეულ შტამბზე შეირჩევა 2-4 ყლორტი, დანარჩენი მოეცლება. სუსტი ზრდის ვაზი ქვედა 3-4 კვირტზე გაისხვლება. მეორე წელს შტამბზე გასხლული ვაზის თითოეულ მხარზე დარჩება 2 რქა, აქედან ქვედა სამამულე გაისხვლება 2 კვირტზე, ზედა სანაყოფედ 6-8 კვირტზე. თითოეული მხარე ერთიმეორისგან 10-12 სმ-ით დაშორებით პირველ მავთულზე ჰორიზონტალურად დაკავდება. შედარებით სუსტად განვითარებული ვაზი გაისხვლება შტამბის სიმაღლეზე. შემდეგი წლიდან ძლიერი ვაზი სრული დატვირთვით ისხვლება, ე.ი. რჩება 2 სამამულე ორ-ორ კვირტზე და 2 სანაყოფე თითოეული 7-12 კვირტზე, ზრდის სიძლიერის შესაბამისად.

საბავშვო ბაღის აღმზრდელები: ქეთევან ჩოკოშვილი, ქეთევან მაისურაძე და მენეჯერი ნელი კორძაია (შუაში)

პატარები ახალმოსახლეობის მოლოდინში

სველი წერტილი

„ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა"

დედა ენის შექმნის ისტორია

„დედა ენა“ ყოველი ჩვენგანის პირველი წიგნია

მე–19 საუკუნე – რუსეთის იმპერიის რეფორმები და რეპრესიები ერთადერთი მიზნით – ქართული გენისა და თვითშეგნების გადაგვარებისთვის. სკოლებში ქართული ენის ხსენებაც კი აიკრძალა, არისტოკრატია ქართულად ხმის ამოღებას ერიდებოდა, ეგრეთწოდებული ინტელიგენცია კი რუსულად აზროვნებდა. ქართული ენის შესასწავლად მხოლოდ ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა, ისტორიასა და გეოგრაფიას კი საერთოდ ვინ დაგიდევდათ.

მოწინავე ახალგაზრდობამ რუსეთის გეგმებს მამული, ენისა და სარწმუნოების მცნება დაუპირისპირა. ღვთის წყალობა იყო ალბათ ამდენი სახელგანთქმული საზოგადო მოღვაწე, რომელთაც ქართველობის თვითმყოფადობის შენარჩუნება–გაძლიერებას დაუდეს სადავე.

იაკობ გოგებაშვილმა წიგნის "დედა ენა" შექმნამდე ოცი წლით ადრე, 1865 წელს, შეადგინა "ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეებისთვის". დიდმა პედაგოგმა წიგნს "დედა ენა" 1876 წელს დაარქვა. ოცწლიანი მეთოდოლოგიური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური დახვეწის შემდეგ, 1876 წელს, მან გამოსცა ქართული ენის ორიგინალური სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლებისათვის – "დედა ენა".

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება საყმაწვილო სახელმძღვანელოს მორალურ, ზნეობრივ და პატრიოტულ კრიტერიუმებს დაეთმო. ავტორი თითოეულ სიტყვას, ყმაწვილთათვის შესათავაზებელ მოთხრობასა თუ ლექსში, სათუთად აზუსტებდა, ხვეწდა მეთოდურ ნიუანსებს, რომ მარტივიდან რთულისკენ სვლა ბუნებრივი, სასურველი და სახალისო ყოფილიყო. საყოველთაო განხილვის საგნად აქცევდა თითოეული ასოს მოხაზულობას საყოველთაო განხილვის საგანი იყო და ყოველი სიახლე უძველეს ქართულ მწიგნობრულ გამოცდილებას ეფუძნებოდა. „დედა ენა“ ერთ–ერთი რჩეული საგანძურია ქართველი ერისათვის. "დედა ენის" არსებობა ერის არსებობას ნიშნავს, ენის სიცოცხლე – ერის სიცოცხლეს.

„დედა ენის“ წარმატება და პოპულარიზაცია განაპირობა წიგნში ჩადებულმა მაღალმა დიდაქტიკურ-მეთოდიკურმა პრინციპებმა, რომელიც გამსჭვალულია ხალხურობის სულისკვეთებით. "დედა ენაში" ჩადებულია ფსიქოლოგიური საფუძველი.

„დედა ენაში“ ორი წლის კურსის მასალაა. წერა-კითხვა ისწავლება ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდით. 1906 წლიდან „დედა ენა“ 2 წიგნად გამოდის: პირველში მოთავსებულია წერა-კითხვის შესასწავლი მასალა, მეორეში — საყმაწვილო მხატვრული თხზულებები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები და საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული შინაარსის მეცნიერულ-პოპულარული სტატიები.

„დედა ენას“ საფუძვლად უდევს მაღალი დიდაქტიკურ-მეთოდიკური პრინციპები, გამსჭვალულია ხალხურობის სულისკვეთებით. ავტორის სიცოცხლეში (1912 წლამდე) იგი 33-ჯერ გამოიცა. ი. გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ „დედა ენის“ გამოცემა მიენდო სპეციალურ კომისიას, რომელსაც ლ. ბოცვაძე ხელმძღვანელობდა. 1876-1925 წლებში „დედა ენა“ 45-ჯერ გამოიცა. ძირითადად ი. გოგებაშვილის ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდია მომარჯვებული ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას „დედა ენის“ 1935-1943 წლების გამოცემებში.

ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ საფუძველზეა შედგენილი და 1944 წლიდან სისტემატურად გამოდის ნ. ბოცავიძისა და ე. ბურჯანაძის „დედა ენა“ (2 წიგნად) I და II კლასელებისათვის (ამჟამად I კლასის „დედა ენა“ 2 ნაწილად გამოდის). ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვითაა აგებული ვ. რამიშვილის მიერ შედგენილი მოსამზადებელი კლასის „დედა ენა“ და ის I კლასის „დედა ენა“, რომელმაც გაიარა მოსამზადებელი კლასი (პირველად გამოიცა 1973). 1976 წელს ზეიმით აღინიშნა „დედა ენის“ 100 წლისთავი; საიუბილეოდ დაისტამბა 1876 და 1912 წლების გამოცემები.

იაკობ გოგებაშვილის "დედა ენის" ყოველმხრივ სრულყოფილებაზე ისიც მიუთითებს, რომ თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგაც თანამედროვე "დედა ენა" ამ დიდი მოღვაწის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს პრინციპებს ემყარება. საანბანე ნაწილის აგების პრინციპი, წიგნის თემატური მხარე იყო საფუძველი იმისა, რომ 1960 წელს ვენესუელის ქალაქ კარაკასში გამართულ მსოფლიო ენების საანბანე სახელმძღვანელოების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე იაკობის „დედა ენის“ მიხედვით შედგენილმა სახელმძღვანელომ პირველი პრემია და საპატიო მედალი დაიმსახურა.

„ო, ენავ ჩვენო, დედაო ენავ...“

მათ ანბანი გაიცნეს და მისი მადლიც შეიმეცნეს...

იაკობი ამბობს: „დიდი სიხარულით მივეცით პირველი ადგილი სიტყვას „ია“ თავი სურათით. რადა? იმიტომ, რომ ანბანის სწავლის დაწყებისათვის მეტად მოხერხებული სიტყვაა და ბევრი ღირსება აქვს. პირველი ღირსება ის გახლავთ, რომ ეს სიტყვა შედგება ორის ხმოვნის ასოსაგან, რომელიც გამოსათქმელად ადვილი არიან, დასაწერად არა ძნელნი და შემდეგი გაკვეთილებისთვისაც ფრიად საჭირონი, რადგანაც ამ ასოების შემწეობით ადვილად სდგება სიტყვები და ფრაზები და უამათოდ კი მათი შედგენა შეუძლებელი იქნებოდა. მეორე ღირსება ის არის, რომ მარტო ამ ორის ასოების შემწეობით ადვილად სდგება ორი სიტყვა და მათგან ფრაზა. ამის გამო ბავშვი პირველსავე გაკვეთილიდან სწავლობს არა მარტო ორ ხმასა და ასოსა, არამედ მაშინვე ჰკითხულობს სიტყვებს და ფრაზას, ამ ასოებისაგან შემდგარს. ამის გამო ეს უძვირფასესი რამ არის ანბანის დაწყებისათვის. ბევრი ენა მოკლებულია ამგვარს მოხერხებულ სიტყვას“.

ეთუნა გულისაშვილი საგარეჯოს IV საჯარო სკოლის პირველკლასელია. სკოლაში შესვლამდე პირველ საბავშვო ბაღში ნანა მასწავლებლის მიერ თითოეული ასო-ბგერის ახსნას დიდი გულისფანცქალით ელოდა და გულისყურითაც უსმენდა. ნელნელა შემოვიდა მის ბავშვურ სამყაროში ულამაზესი, ყელყარყარა და ასოები. მათგან მარცვლებს ადგენდა, შემდეგ სიტყვებს, სიტყვებიდან წინადადებებს და ზაფხულში საკუთარი თვალით წაკითხულმა პატარა ფრაზებმა, მცირე მოცულობის მოთხრობებმა უკვე ისე გაუღვივა ინტერესი, რომ წაკითხვის გარეშე ვეღარ სძლებდა. სექტემბერში სკოლაში მივიდა, პირველი მასწავლებელი ნინო ნანუაშვილი გაიცნო და ახლა ნინო მასწავლებლის მიერ ახსნილ მასალას ჩაუკირკიტდა.

ეთუნა მშვიდი, წყნარი, მორიდებული და დაფიქრებული, გონიერი გოგონაა. სულაც არ უგრძნობინებია კლასში თანატოლებისთვის, რომ ის სკოლაში მოსვლამდე იცნობდა ანბანს. ჰქონდა მათი დიდი სიყვარული და ინტერესი, რაც შეიძლება ბევრი მოთხრობები წაეკითხა იმ ბუმბერაზი ადამიანისგან დაწერილი, ვინც ლამაზი ანბანი, ვინც „დედა ენის“ უძვირფასესი წიგნი აჩუქა პატარებს.

ახლა იაკობ გოგებაშვილი რომ ცოცხალი იყოს, ეთუნა მადლობის ბარათსაც მისწერდა თავისი ხელით ამ ლამაზი წიგნის შედგენისათვის და უფრო მეტი მოთხრობების შედგენას სთხოვდა პატარებისათვის. იმასაც ეტყოდა, რომ დედა ანბანის 33-ვე ასო მოსწონს და უყვარს, მაგრამ, ასო-ბგერა „ა“ – ყველაზე მეტად, რადგან ანბანის თავში უდგას დანარჩენ 32 ასო-ბგერას, ლამაზია და იასავით საყვარელი. ეთუნას აზრით „ა“ და „ი“ უადვილებს ყველას ანბანის დაწყებას, რადგან ეს ორი ასო იმ სიტყვას აღნიშნავს, რომელიც გაზაფხულის მახარობელი ყვავილია და რომლის ჩუქებაც ყველა ბავშვს საყვარელი დედისათვის შეუძლია.

ბიჭიკო დიღმელაშვილი საგარეჯოს I საჯარო სკოლის მეორეკლასელია. ანბანი ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში სიარულისას ისწავლა და ხან დედის მხრიდან ბებია-პაპას ახარებდა ახლადნასწავლ ასო-ბგერის სილამაზეს, ხან მამის მშობლებს. საოცარი ბიჭია – კომუნიკაბელური, შეგნებული, პატარა ასაკის კვალობაზე მეტად განვითარებული და განსწავლული სოფლის მეურნეობაში თუ ავტომობილებში, საერთოდ ტექნიკაში. სკოლაში შესვლამდე პატარა ფერმერის – მევენახის, მეხილის პროფესიას დაეუფლა. პაპამ რქაწითელის პატარა ვენახიც გაუშენა და უთხრა – ეს შენია და იცოდე, შენ გებარება მისი მოვლაო. ამიტომაც კარგად ერკვევა მევენახეობაში, გული როგორ გაუძლებს არ დახედოს ვენახს. იცის, როდის უნდა გაისხლას და ვენახში თითოეული ოპერაცია როდის უნდა შესრულდეს. ნამდვილი ფერმერივით კვადროციკლიც ჰყავს და თავის ადგილ-მამულს მოვალეობის მოხდით გარშემოც უვლის...



სკოლაში?! სკოლაში ხომ პირველი კლასიდან პირველობს სწავლაში. ფეხდაფეხ მიჰყვება მასწავლებელს ლალი კევლიშვილს ახალი მასალის ახსნისას, რადგან მან უკვე იცის, რაც უნდა აუხსნათ... წიგნებს ბევრზე ბევრს კითხულობს, ბეჯითად მეცადინეობს – კარგად იცის, თუ ყველა საგანი, ყველა გაკვეთილი არ ისწავლა, ვერც უმაღლესში ისწავლის და ვერც ისეთი კაცი გამოვა, როგორიც მშობლებს, ბებია-პაპებს უნდათ.

ერთი შეეკითხეთ ვისი გორისა არის, ქართველს რა აკისრია სამშობლოს წინაშე და როგორ ამაყობს – იაკობ გოგებაშვილმა ისეთი „დედა ენა“ გვაჩუქა ბავშვებს, ბევრს შეშურდება თავისი სილამაზით. ასო-ბგერებიდან „ბ“-ს დაწერა უყვარს და მოსწონს. რატომ?! – პაპაჩემის სახელი და ჩემი სახელიც „ბ“-ზე იწყება და იმიტომო. თუმცა, დამეთანხმებით, ბევრს გვიჭირდა პირველად სწორედ ამ ასო-ბგერის დაწერა. ასე არ არის?! ბიჭიკოს კი უყვარს და ეხალისება მისი დაწერა...

ელენე ოქრომჭედლიშვილი საგარეჯოს I საჯარო სკოლის პირველკლასელია – ცისფერთვალა, ქერა, სიტყვაძუნწი, მორიდებული და მორცხვი. მართალია ორი უფროსი დის საფიცარი ნაბოლარაა, მაგრამ არც მეტიჩარაა და არც თავნება. პირიქით, მისი სიჩუმე და მოკრძალება უფრო არ მოსწონთ. ისე ჩუმად თამაშობს თოჯინებთან, ეხმარება თინა ბებოს ბოსტანში თუ ფრინველების მოვლაში, რომ დიდი ადამიანი გეგონებათ. მაგარმ ამ სიჩუმეში ძალიან უყვარს თოჯინებისთვის კაბების შეკერვა, წიგნების კითხვა. წერა-კითხვა სკოლაში შესვლამდეც იცოდა. ძალიან გააკვირვა თავისი მორიდებულობით პირველი მასწავლებელიც ნაირა გურგენიშვილი. რატომ?! იმიტომ, რომ სხვა ბავშვები, ვინც თითოოროლა ასო-ბგერას იცნობდა, აღარ ჩერდებოდა, ელენე კი 33-ვე ასო-ბგერას იცნობდა და მასწავლებელი არც შეუწუხებია. უბრალოდ, თავიდან ბოლომდე შეუძლია ყველანაირი სიდიდის ტექსტის გამართული წაკითხვა, შინაარსის გადმოცემა.

ძალიან მოსწონს ხმოვნებიდან „უ“, თანხმოვნებიდან „ტ“, ორივეს კი არა, ყველა ასოს აჩუქურთმებს და დიდი რუდუნებით გამოჰყავს თავისი ნატიფი თითებით.

იაკობ გოგებაშვილის თითქმის ყველა მოთხრობა წაიკითხა და ყველა მოსწონს.

15 აპრილი სიყვარულის დღეა!

ოჯახი და პროფესია

როცა ურთიერთსიყვარული და ურთიერთპატივისცემაა

ორივე საგარეჯოში დაიბადა და გაიზარდა, თუმცა ერთმანეთს თითქმის არ იცნობდნენ. თითქმისო, იმიტომ ვამბობ, რომ მხოლოდ მათი მშობლები იცნობდნენ ერთმანეთს, იცნობდნენ, როგორც საგარეჯოელები, თანაქალაქელები. ლევანის მამა – ქართლოსი 90-იან წლებში გარდაიცვალა – საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის ერთ-ერთი წამყვანი პედაგოგი, ოთხი შესანიშნავი და სანაქებო შვილის მამა. ლევანის მშობლები – ქართლოს ტიგინაშვილი და ციცინო ოსეფაშვილი სიყვარულით შეუღლდნენ, ასევე თამუნას მშობლებმა ანა ჭიაბრიშვილმა და გივი ფანოზიშვილმა სიყვარულით შექმნეს ოჯახი და მათი პირველი შვილი თამუნა ანას სტუდენტობის წლების გასახსენებელი შვილია. თამუნამ და ლევანიმ კი ისეთ დროს გაიცნეს ერთმანეთი, როცა ორივე უკვე ჩამოყალიბებული ექიმი იყო – ლევანი ექიმი მეან-გინეკოლოგი, თამუნა – ექიმი ანესთეზიოლოგი. აი, რას ჰყვება თამუნა:

– ერთმანეთი 2005 წლის შემოდგომით გავიცანით. საგარეჯოს საავადმყოფოს საოპერაციოში საკეისრო კვეთის ოპერაცია ტარდებოდა, რომელსაც ჩემთვის უცნობი ექიმი მეან-გინეკოლოგი აკეთებდა და რომელსაც ქუდსა და ნიღაბს შორის ლამაზი შავი თვალები უჩანდა. იმ ოპერაციაზე გავიცანით ერთმანეთი. ნელ-ნელა დავახლოვდით, თანაც საერთო საქმე გვაერთიანებდა. დაახლოებით 2 წლის შემდეგ მივხვდით, რომ ერთმანეთი გვიყვარდა (ოღონდ ამას ჩვენზე წინ ჩვენი თანამშრომლები მიხვდნენ). დიდხანს აღარ გვიფიქრია და 2007 წლის 23 ნოემბერს გადავწყვიტეთ ოჯახი შეგვექმნა. 2008 წლის 26 იანვარს დავქორწინდით. ჩვენი სპეციალობიდან გამომდინარე, ჩვენი თაფლობის თვე დიდხანს არ გაგრძელებულა. 10 დღეში დავბრუნდით სამსახურში.

მალე, 2009 წლის სექტემბერში პირველი შვილი ნიკოლოზი დაიბადა, მას მეორე წელს ფეხდაფეხ ლუკა მოჰყვა. ორივეს გაზრდა მართლა ჩვენ ავიღეთ ჩვენს თავზე, მაგრამ 24 საათიანი მორიგეობები, დატვირთული სამუშაო დღეები, როცა ლიმიტირებული არ არის სამუშაო დრო, გვაიძულებს მათ გაზრდა-აღზრდაში საბავშვო ბაღთან ერთად ჩემი მშობლები და ლევანის დედაც ჩავრთოთ. მორიგეობები გვიწევს კლინიკაში ცალ-ცალკე, მაგრამ ყოველ 20 დღეში ერთხელ ჩვენი მორიგეობები ემთხვევა. შეიძლება ამ დროს ზოგჯერ ფიქრი მოულოდნელად შვილებისკენ გაგვექცეს, მაგრამ იმდენად დატვირთულია ჩვენთვის ყოველი სამუშაო წუთი, იქნებ ვერც მოვიცალოთ თუნდაც ერთი სატელეფონო ზარი გავუშვათ შვილებთან. სამსახურიდან დაბრუნებულები ხანდახან სახლში ვაგრძელებთ განხილვას პაციენტების მდგომარეობის შესახებ. ზოგჯერ კი სამსახურიდან ისეთი დაღლილები მივდივართ ჩვენს ბიჭებთან ჩახუტების მეტი არაფერი არ გვინდა და ერთი ჩახუტება და ერთი სიტყვა მაშინვე გვიხსნის დაღლილობას და გვიბრუნებს სიცოცხლის ხალისს.

ძნელია იმის განსაზღვრა, რომელი პროფესიაა უფრო რთული და საპასუხისმგებლო, ექიმობა თუ დედობა, ოჯახის მოვლა, მეუღლეობა, მაგრამ ვცდილობთ წარმატებით გავართვათ თავი ყველაფერს და ამას კი გვიადვილებს ურთიერთსიყვარული, ურთიერთპატივისცემა და იმ პროფესიის სიყვარული და ერთგულება, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით.

ნიკოლოზთან და ლუკასთან ერთად

მათ „დედა ენა“ შეასწავლეს

„ვალი გადევს — კვალი დაგრჩეს“

გემის კაპიტნის ვირგელი მასწავლებელი

მას არც ასაკი ეტყობა და არც იმ შრომის კვალი, რომელსაც ათეული წლების მანძილზე ეწეოდა...

დაიბადა და გაიზარდა გოგლას მშობლიურ სოფელ პატარძეულში. ყოველდღე ესმოდა თანასოფლელების ის წარმატებები, რასაც ისინი თბილისის წამყვან საავადმყოფოებსა და კვლევით ინსტიტუტებში აღწევდნენ. ეამაყებოდა, მეტ სტიმულს აძლევდა სწავლაშიც და სამომავლო გზების არჩევანშიც. პატარძეულის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სამამულო ომის მძიმე პერიოდში სწავლა თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. ომის დასრულების შემდეგ კი მუშაობა სოფელ სასადილოს დაწყებითი განათლების სკოლაში დაიწყო. 1947 წელს მანავის დაწყებით სკოლაში გადაიყვანეს, 1948 წელს – პატარძეულის საშუალო სკოლაში, 1949 წელს – კოჭბანის დაწყებით სკოლაში, 1950-55 წლებში უდაბნოს დაწყებით სკოლაში, 1956-63 წლებში წყაროსთავის რვაწლიანი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი იყო. 1963-1980 წლებში პატარძეულის ბერთუბნის დაწყებითი სკოლის გამგე მასწავლებელია. შემდეგ კი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

ომის დამთავრების შემდეგ პედაგოგის კადრი ჭირდა, ამიტომაც მოუწია მარიამ სუხაშვილ-უსტიაშვილს ჩვენი რაიონის სხვადასხვა სოფლებში მასწავლებლობა. მაგრამ, ამავე პერიოდში მან მეუღლესთან ერთად სამი შვილისათვის უმაღლესი განათლების მიღება მოახერხა. ნუგზარი ზოოტექნიკოსია, ლალი – ვეტექიმი, ნინო – ფილოლოგი. სამივეს კარგი ავტორიტეტი აქვს საგარეჯოს რაიონში, მშობლებისდაგვარად მშრომელები, კაცთმოყვარენი და ქართული ტრადიციების მიმდევრები არიან.

დღეს მარიამ მასწავლებელი მხოლოდ მოგონებებით არ ცხოვრობს. მის მიერ აღზრდილ-დაფრთიანებული ყოფილი მოსწავლეები დღესაც ეხმიანებიან, დღესაც ახსენებენ თავს, დღესაც „აბარებენ ანგარიშს“ თავიანთი მოღვაწეობის შესახებ. ისინი ყველგან არიან: ქალაქში, სოფელში, სოფლის სავარგულებში, ბიზნესში, თანამდებობებზე და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს თქვენთვის, ჩვენი გაზეთის ძვირფასო მკითხველო, ერთ-ერთი მათგანი მსოფლიო გემის კაპიტანთა ათეულშია – გიორგი (გელა) უნაფქოშვილი, რომელსაც სწორედ მარიამ მასწავლებელმა შეასწავლა ანბანი, მისცა დაწყებითი განათლება და მსოფლიოს უკიდეგანო ოკეანეებისა და ზღვების გადასალახავად გზაც დაულოცა.

ეს სურათიც მარიამ მასწავლებელს გემის კაპიტანთან საგარეჯოელების შეხვედრაზე გადავუდეთ, სადაც მან გიორგი უნაფქოშვილის მოსწავლეობის ფურცლები გადაგვიშალა.

ასე, რომ მარიამ მასწავლებლის შეგონებას, რომ ყოველმა ადამიანმა კვალი ნათელი უნდა დატოვოს თავისი ცხოვრებით, ბევრმა პატარძეულელმა შეისმინა და უპირველეს ყოვლისა, კარგი კაცობაით გამრჯე შრომით ცდილობენ მისი დარიგების შესრულებას.

ეს დღეც მათსავით ლამაზი იქნება

საკლასო ოთახი ისეთივე ლამაზი და მიმზიდველია, როგორც თვითონ ეს თვალხატულა გოგო-ბიჭები არიან. ოთახის ყველა კედლიდან ნაცნობი ზღაპრების პერსონაჟები, ქართული ანბანი, მშობლიურ ენასთან დაკავშირებული და სხვა სურათხატები შემოგვცქერიან. მოსწავლის ინდივიდუალური სკამ-მერხები, მყუდრო გარემო და ატმოსფერო ამ ოთახში შესვლისთანავე რომ იგრძნობა, ნამდვილად საუკეთესო და იდეალურ პირობებს უქმნიდნენ მანავის საჯარო სკოლის Iა კლასის მოსწავლეებს, სრულყოფილად ეზიარონ ცოდნისა და განათლების იმ საფუძვლებს, რომელთაც ისინი მომავალი ცხოვრების ფართო გზაშარაზე უნდა გაიყანონ, ჩამოაყალიბონ ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად და ღირსეულ მამულიშვილებად.

თუ ყოველივე ზემოთქმულს იმ სითბოსა და სიყვარულს, დიდ პედაგოგიურ გამოცდილებას დავუმატებთ, რითაც ასე უხვადაა მომადლებული კლასის დამრიგებელი და პირველი მასწავლებელი ციცინო ბორაშვილი, ეჭვიც არ გვიჩნდება, რომ მათგან მარვადასხვა საზეიმო ღონისძიებებს, ისეთებს როგორიც „ანბანთან შეხვედრა“, საახალწლო თუ სხვა მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებული ზეიმებია.

– სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდან დიდი დახმარებით, ჩვენს პატარებს ნამდვილად ყველა პირობა აქვთ საიმისოდ, რომ საფუძვლიანად შეისწავლონ მშობლიური ქართული ენა, მისი ისტორია, რაც ასე განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და ბედ-იღბალთან. გარდა ამისა, ჩვენი პატარები დაგვყავს სხვასდასხვა ღონისძიებებზე. ტრადიციად მაქვს დაწესებული ყოველი მაისის ბოლოს ჩემი აღსაზრდელების სოფელ ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში ექსკურსიების მოწყობა, სადაც ისინი უფრო ახლოს ეცნობიან მათთვის საყვარელი დედა ენის შემქმნელის, ქართული ანბანისა და მისი შექმნის ისტორიას. რა თქმა უნდა, ყოველთვის ვაწყობთ „ქართული ენის“ დღესთან დაკავშირებულ ზეიმებს და გამონაკლისი არც ახლანდელი წელია.

– ქართველობა და კარგი მამულიშვილობა, ენის ცოდნასა და სიყვარულთან ერთად, ჩვენი სარწმუნოების სიყვარულითა და ერთგულებითაც საზრდოობს და ძლიერდება. ალბათ შემთხვევითი არაა, რომ სკოლის წინ მდებარეობს წმინდა ნიკოლოზის სახელობის მოქმედი ეკლესია. რა ადგილი უკავია თქვენი აღსაზრდელების სწავლა-აღზრდაში რელიგიის სწავლების საქმეს?

– ენა, მამული, სარწმუნოება – ასე გვიქადაგებდა ჩვენი ერის უგვირგვინო მეფე და ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ილია ჭავჭავაძე და ამ ანდერძიდან გამომდინარე, რაც ყველა ქართველს უნდა ჰქონდეს გულის ფიცარზე ამოჭრილი, ვცდილობ მცირეოდენი დოზებით მივაწოდო და ჩვენს პატარებს გულში ავუნთო ის ნაპერწკალი, რომლითაც მომავალში მათ გულებში ქრისტიანობის სიყვარულის ცეცხლი უნდა დაანთოს. ყოველ სასწავლო პროცესს ისინი ჩემთან ერთად სწავლის დაწყების ლოცვით იწყებენ. ჩემთან ერთად კითხულობენ უფლისადმი მიძღვნილ ლოცვას, რამდენიმეს კი ზეპირად შეუძლია „მამაო ჩვენოს“ წარმოთქმა.

– კლასში ბევრი გყავთ ნიჭიერი მოსწავლე?

– სულ საადმზრდელო კლასში 18 მოსწავლეა და ჯერჯერობით ვერც ერთს ვერ დავემდურები, თუმცა, როგორც იტყვიან, „მჯობნის მჯობი არ დაილევა“. და ასეთია რიცხვში მინდა დავასახელო ნათია დალაქიშვილი, ლაშა გაბისონია, ია ბერუაშვილი, ეკა უცუნაშვილი, თუმცა როგორც აღვნიშნე, არც დანარჩენი მოსწავლეები ჩამოუვარდებიან მათ რაიმეში.

– ისე, რომ იმედი უნდა ვიქონიოთ, მართლაც ლამაზი და დასამახსოვრებელი გამოდგება მათ მიერ მოწყობილი დედა ენის დღის აღმნიშვნელი ზეიმი, არა?

– გეთანხმებით, ყოველივე ზემოთქმული და მათი 1 წლის სიყვარული იმის გარანტიაა, რომ ეს ზეიმიც, როგორც სხვა წინამორბედი ზეიმები, ლამაზი და დიდხანს დასამახსოვრებელი იქნება მათ ცხოვრებაში.

გ. დაბახიშვილი

„ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?!"

ერთი წლის შემდეგ

ის კვლავ დეპუტატის ყურადღების ცენტრშია

ილია კურდღელაშვილი საგარეჯოს I საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე გასული წლის ტელე-პროექტ „ეტალონის "გამარჯვებული და ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის თინა ხიდაშელის სტიპენდიანტი კვლავ გამარჯვებებს ზეიმობს და გასული წლის ბოლოს თავის თანატოლ ორ გოგონასთან ერთად ქ-ნმა თინა ხიდაშელმა კვლავ თავის რჩეულად დაასახელა. ილია ყველა საგანს ერთნაირი ინტერესით ეუფლება, მაგრამ განსაკუთრებით ისტორია (პედაგოგი მარინა გულისაშვილი) აინტერესებს. მას შემთხვევითად არ მიაჩნია, რომ უფალს გამორჩეულ ერად მართალია, ებრაელი ერი ჰყავს, მაგრამ არანაკლებ უყვარს ქართველი ერი და საქართველო. სჯერა, რომ წარმართულ საქართველოშიც იყო ენითაუწერელი დაინტერესება ქართველური ფესვებისადმი და იმ მსოფლიო მისიაში გარკვევისათვის, რასაც უფალი საქართველოს აკისრებდა და აკისრებს. მართალია, მას ძალიან უნდა შეისწავლოს ყველა ქართველისათვის საყვარელი „ოქროს ხანა" – დავითისა და თამარის მოღვაწეობის ხანა, მაგრამ არანაკლებ აინტერესებს მეფე ფარნავაზის მოღვაწეობა. თუმცა, მისი აზრით, თუ შეისწავლის საქართველოს ისტორიას ძირფესვიანად, ადვილი შესაძლებლობა მიეცემა თავისი ოცნების სამყაროთი შექმნას იმდროინდელი ეპოქა. ისტორიის შესწავლაში კი თავის გზამკვლევად მისთვის საყვარელ პედაგოგს მარინა გულისაშვილს ასახელებს, რომელმაც ყოველივე ქართული ისე შეაყვარა მას და მის თანატოლებს, აგრძნობინათ, რამხელა პასუხისმგებლობა აქვს თითოეულ ქართველს საქართველოს თითოეული გოჯი მიწის, თითოეული ისტორიული მოვლენის შესწავლის წინაშე.

– ჩვენ ვმონაწილეობთ მოსწავლეთა სასწავლო ოლიმპიადაში. მე, პირადად ისტორიის საგანში უკვე მესამე ტურში გადავედი. მიმდინარე წელს სამოქალაქო განათლების საგანშიც მოეწყო ოლიმპიადა და აქაც ჩემს თანატოლებთან ერთად წარმატებით ვმონაწილეობ.

რაც შეეხება მომავლის გეგმებს, კვლავ სწავლა, განათლება რჩება ჩემი ყოველდღიური საზრუნავი და კიდევ ის დიდი ჯილდო, საჩუქარი და ყურადღება, რასაც ჩვენი ***რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ქ-ნი თინა იჩენს ჩემი და ჩემი თანატოლების მიმართ – დიახ, ის ძალიან აფასებს სწავლაში წარჩინებულებს – მე კვლავ პარლამენტის წევრის მიერ დაწესებული ჯილდოს ადრესატი ვარ – მთელი წლის განმავლობაში მე შემიძლია უფასო ინტერნეტით ვისარგებლო. ეს ბევრს მავალებს,–*** მეუბნება ილია.

წარმატებები ვუსურვოთ მას.

წარმატებული ბავშვები

დეპუტატის სტიპენდიანტები

მე ვარ **ელზა გველესიანი**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავიდან. დავიბადე 1998 წლის 14 ნოემბერს. ჩემი მშობლები არიან ნოდარ გველესიანი და მზია ჩერქეზიშვილი. მყავს ძმა – გიორგი გველესიანი.

ვსწავლობ ნინოწმინდის საჯარო სკოლაში. წარჩინებით დავასრულე სკოლის განვლილი საფეხურები და ამჟამად ვარ X კლასში. საგნებიდან გამოვარჩევ ბიოლოგიასა და ქართულს. ჩემთვის ორივე ძალიან საინტერესოა. მომავალში ვაპირებ სამედიცინოზე ჩაბარებას. ამასთან, დავდივარ საგარეჯოში მდებარე სახვითი ხელოვნების სკოლაში. ძალიან მიტაცებს ხატვა. ჩემი ნახატები ხალხის მოწონებას იმსახურებს და ეს ძალიან მახარებს.

2015 წლის თებერვლიდან ***გავხდი საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის თინათინ ხიდაშელის სტიპენდიანტი. ამისათვის ქალბატონ თინას უდიდეს მადლობას ვუხდი***, რადგან ვიგრძენი მხარში დგომა და ეს უფრო მეტ სტიმულს მაძლევს, რათა მომავალშიც კარგად ვისწავლო და უკეთესად გავაკეთო ჩემი საქმე.

მე ვარ **ნინო შენგელიძე**, დავიბადე 1998 წლის 12 აპრილს. ვცხოვრობ საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურაში. დედა ელისო ყურაშვილი და მამა გოჩა შენგელიძე სპეციალობით ინჟინერ-ეკონომისტები არიან.

ოჯახურმა გარემომ დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. ბებია და მამიდა პედაგოგები არიან, ხშირად ვისმენდი საინტერესო ზღაპრებს, სათავგადასავლო ამბებს, მიყვარდა ლექსები სამშობლოზე.

2004 წელს შევედი ყანდაურის საშუალო სკოლაში. მომეწონა სასკოლო გარემო, აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი საკლასო და სასკოლო კონკურსებსა და ღონისძიებებში.

მიყვარს კითხვა, სასწავლო საგნებიდან ყველა, განსაკუთრებით მათემატიკა და საბუნებისმეტყველო საგნები.

ხშირად ვიღებ მონაწილეობას სასკოლო და რაიონულ საგნობრივ ოლიმპიადებში. 2014 წელს გავიმარჯვე ბიოლოგიის რესპუბლიკურ ტურში და 20 დღე გავატარე წყნეთის ინგლისურენოვან საზაფხულო სკოლაში, რომელმაც დიდი გამოცდილება შემძინა.

ამჟამად ვსწავლობ XI კლასში. წარმატებით დავამთავრე IX კლასი, მივიღე პრეზიდენტის საჩუქარი – „ჩემი პირველი კომპიუტერი". ჩემი ყოველწლიური შეფასება არის 10 ქულა. ***გულწრფელი მადლიერებით აღვნიშნავ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ქ-ნ თინათინ ხიდაშელის ყურადღებას, რომელმაც დამასაჩუქრა კომპიუტერით და დამინიშნა ყოველთვიური სტიპენდია სკოლის დამთავრებამდე.***

მაქვს სამომავლო გეგმები – მინდა მივიღო ევროპული განათლება და ჩემი ცოდნა მოვახმარო ჩემი ქვეყნის განვითარებას.

„ახალგაზრდული საკრებულო" საგარეჯოშიც გვექნება

ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლება" პროექტ „ახალგაზრდული თვითმმართველობის ინიციატივა 2015"-ის ფარგლებში საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ქმნის „ახალგაზრდულ საკრებულოებს". ქვეყნის მასშტაბით არსებულ 64 მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებული „ახალგაზრდული საკრებულოები" მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე X-XII კლასელებით დაკომპლექტდება. შერჩეული ახალგაზრდები გაივლიან ტრენინგებს არჩევნების და მისი მნიშვნელობის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის, ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის, ლიდერობის, მედიასთან ურთიერთობის, დიპლომატიური ურთიერთობებისა და კავკასიოლოგიის საკითხებზე. ამ თემაზე მათ ღია ლექციებს ჩაუტარებენ საქართველოს წამყვანი სპეციალისტები, ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და წარმატებული ახალგაზრდები, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ჩვენი ახალგაზრდობის აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების საქმეს. მსგავსი „ახალგაზრდული საკრებულო" უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენს მუნიციპალიტეტშიც. ამასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციამ 27 მარტს საგარეჯოს კულტსახლის ახალგაზრდულ ცენტრში საგარეჯოელი მოსწავლე-ახალგაზრდობის შეხვედრა მოაწყო. შეხვედრაზე „ადამიანი, კანონი, თავისუფლება" აღნიშნული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ მაღალდაძე რაიონის მასშტაბით შერჩეულ ახალგაზრდებს ვრცლად ესაუბრა იმ მიზნების ,ამოცანების და მომავალი საქმიანობის შესახებ, რასაც აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს.

უნდა აღინიშნოს, რომ „ადამიანი, კანონი, თავისუფლება" პროექტს „ახალგაზრდული საკრებულო" 2013 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით ახორციელებდა კასპში, გორსა და მარნეულში. პროექტში მოსწავლე-ახალგაზრდები აქტიურად ეცნობოდნენ ადგილობრივი საკრებულოების საქმიანობას, ესწრებოდნენ საკრებულოების სხდომებს, უტარდებოდათ ტრენინგები თვითმმართველობის შესახებ, მონაწილეობდნენ სხვადასხვა საქველმოქმედო თუ სოციალური აქციების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ამის შესახებ მომზადებული იყო არაერთი სატელევიზიო სიუჟეტი, რომლებსაც იწვევდნენ სხვადასხვა თოქ-შოუებში.

„ახალგაზრდული საკრებულოს" წევრები ინტენსიურად ეცნობოდნენ საარჩევნო კანონმდებლობას, უტარდებოდათ ტრენინგები, მონაწილეობდნენ 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში, იყვნენ დამკვირვებლები საარჩევნო უბნებზე და სხვა.

საბოლოოდ თუ რა მიზნებსა და ამოცანებს ისახავს ჩვენს მუნიციპალიტეტში „ახალგაზრდული საკრებულო" ამის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველს*** ბ-ნ **შალვა პრიხელს.** როგორც მან აღნიშნა:

– საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ 64 მუნიციპალიტეტში 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეულია 2105 საკრებულოს წევრი. ჩვენს მუნიციპალიტეტში პროექტის „ახალგაზრდული საკრებულოს" წევრებად ტესტირების შედეგად შეირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრების, ენერგიული და მოტივირებული ახალგაზრდა. შემდეგ ეტაპზე შერჩეულ ახალგაზრდებს შორის მოხდება „ახალგაზრდული საკრებულოს" თავმჯდომარის არჩევა და თემატური კომისიების ჩამოყალიბება. პროექტის ფარგლებში შეიქმნება სპეციალური ინტერნეტ-პორტალი, რომელიც გააერთიანებს აღნიშნულ 2015 წევრს და მასში განთავსდება მათზე დეტალური ინფორმაციები. ასევე, თითოეული მუნიციპალიტეტის „ახალგაზრდული საკრებულოსათვის" უკვე არსებობს 64 Facebook-ის გვერდი.

– რა არის პროექტის მთავარი მიზნები?

– უპირველესად ეს გახლავთ ახალგაზრდების სამოქალაქო განათლების დონის ამაღლება, მათი აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბება, ჩვენი ახალგაზრდობის ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში გათვითცნობიერება, ახალგაზრდა ლიდერების გამოვლენა-წარმოჩენა, საარჩევნო პროცესებში ახალგაზრდების აქტიური ჩართვა.

– ჩვენი მუნიციპალიტეტიდან რამდენი მოსწავლე „იბრძოლებს" ახალგაზრდულ საკრებულოში მოსახვედრად?

– სულ ასეთად რაიონის მასშტაბით 84 მოსწავლეა შერჩეული, რომელთა ტესტირების შემდეგ გაირკვევა – ვინ მოხვდება ამ საკრებულოში.

– რა პერსპექტივას ჰპირდებათ „ახალგაზრდული საკრებულოს" წევრებს ეს პროექტი?

– გარდა იმისა, რომ ეს პროექტი ხელს შეუწობს ახალგაზრდა ლიდერის, მოტივირებული ახალგაზრდების გამოკვეთას, არაფორმალური განათლების მიღებას, უზრუნველყოფს ახალგაზრდებში არჩევნების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, კვალიფიციური საკადრო რესურსის შექმნას, ამ ახალგაზრდებს უჩნდებათ დასაქმების პერსპექტივაც. ამის დასტურია ისიც, რომ 2013 წელს განხორციელებული წარმატებული პროექტის მონაწილე ახალგაზრდობის ნაწილი ადგილობრივ თვითმმართველობებში სხვადასხვა თანამდებობებზე დასაქმდნენ. ისინი დღემდე მუშაობენ თანამდებობებზე და წარმატებით გაიარეს თვითმმართველობების რეფორმის შედეგად გამოცხადებული ტესტირება თუ გასაუბრება

გ. დაბახიშვილი

თეთრხალათიანი მანდილოსნები

ექიმი თამარ გოგილაშვილი – ხუთი შვილის დედა და ხუთი შვილიშვილის ბებია

თეთრხალათიანი ქალები – ამ ორი სიტყვის გაგონებისას უმრავლეს შემთხვევაში წარმომიდგება სამედიცინო დაწესებულების მუშაკები. ისინი თავიანთი თავდაუზოგავი საქმიანობით სიკვდილს ებრძვიან. ხშირად იმარჯვებენ, თუმცა ხანდახან მარცხდებიან კიდეც. რამდენი უძილო ღამე აქვთ ავადმყოფის საწოლთან გატარებული. უმძიმეს ავადმყოფთან ურთიერთობისას ტვინში ათასი ვერსია გაქვს გააზრებული, რომ დაეხმარო. თავის ტვინში ვარსკვლავებივით ციმციმებს ყოველი ახალი მოსაზრება, ასე აჯობებს თუ ისე. ფუჭი ვერსია ქრება და თითქოს სიბნელეში სანთლით განათებული – ჭეშმარიტებას მიაგენი, რომლითაც სიკვდილს ამარცხებ. მთავრდება შენი სამუშაო საათები და შენს გუნდთან (სიკვდილთან ჭიდილში გამარჯვებული) იხდი თეთრ ხალათს და ამაყი სახლში ბრუნდები.

მოდიხარ სახლში, სადაც ხარ დიასახლისი და მეუღლე, დედა, ბებია. მაქვს ახალი საზრუნავი – შვილების აღზრდა. მათი მოვლა-პატრონობა. მეუღლის გვერდში დგომა. ცდილობ დაუმეგობდე მათ, რათა სწორად აღზარდო, დააყენო ცხოვრების ჭეშმარიტ გზაზე. ღამენათევს, დაღლილს, გაგიწყდება ყველაფერი, როდესაც შვილიშვილი გულში ჩაგეკვრება და გეტყვის „ბებო ძალიან, ძალიამ მიყვარხარ, ყველაზე ძალიან“-ო.

ასეთივე სითბო მეღვრება მაშინაც, როდესაც ავადმყოფის პატრონი ასაკოვანი ქალბატონი, ყავარჯნით შორ მანძილს გამოივლის და მადლობას მოგიხდის შვილის გადარჩენისათვის, ან კიდევ ავადმყოფის მიერ გამოხატული ბედნიერება, რომ ის შენ მოარჩინე, შენმა დანიშნულებამ გამოაჯანმრთელა.

თეთრხალათიანი ქალის ცხოვრების ამ ორ ნაწილს ალბათ ვერ გამოვყოფდი, რადგან ერთმანეთთან ახლოს დგას და გადაწყვეტილებების მიღებაში მეხმარება. ასეთი ქალის ოცნებაა წაიკითხოს სასიამოვნო წიგნი, მოუსმინოს მუსიკას, უყუროს საინტერესო ფილმს, რასაც ყოველთვის ვერ ახერხებს დროის დეფიციტის გამო, რადგან მას ხან ავადმყოფი ეძახის, ხან კი ოჯახი და შვილებზე ზრუნვა აქვს დაკისრებული. რთულია ცხოვრების ასეთი წესი, მაგრამ სასიამოვნოა იმის განცდა, რომ სჭირდები ოჯახს და საზოგადოებას, მიუხედავად იმისა, რომ მედიცინაში ორჯერ ორი ყოველთვის ოთხი არ არის.

თეთრი სისპეტაკის, სისუფთავის ფერად ასოცირდება ადამიანში. გასულ საუკუნეში თეთრი ხალათი სამედიცინო, სავაჭრო, კვების ობიექტებში უზადო მომსახურების, სისუფთავის, სისპეტაკის აღმნიშვნელი იყო. დღეს? დღეს თეთრი ფერი ხშირ შემთხვევაში მწვანე და ლურჯმა ფერებმა შეცვალა მედიცინაში, თუმცა პაციენტები უპირატესობას ისევ თეთრ ფერს ანიჭებენ. ასევეა მომსახურების სხვა სფეროებშიც. დღეს იმ მანდილოსნების შესახებ გიამბობთ, ვინც თეთრი ხალათით ემსახურება ან უნდა ემსახურებოდეს თავის პროფესიას...

ფარმაცევტი ცისანა ამბროლიძე – 51 წელი ხალხის სამსახურში

მის თვალწინ იქცა დაბა საგარეჯო ქალაქად – გაიზარდა, გალამაზდა, დამშვენდა სხვადასხვა შენობა-ნაგებობებით. მის ხელში გადიოდა საგარეჯოს რაიონში მოსული ყველა ახალბედა თუ უკვე გამოცდილი ექიმების ხელით დაწერილი რეცეპტები. თაობები გაიზარდნენ მისი გაცემული წამლებით, ახალგაზრდა დედებისათვის მისი მიცემული დარიგებებით. ადვილი არ იყო დიდი რაიონის მოსახლეების მომსახურება, მაშინ მხოლოდ ერთი აფთიაქი ფუნქციონირებდა. მიუხედავად ხალხმრავლობისა, რიგები არასოდეს „იჭიმებოდა“ – ჩუმად, უხმაუროდ, მოზომილი, მაგრამ სწრაფი ნაბიჯებით, გახამებული თეთრი ხალათით ემსახურებოდა ექიმისგან გამოგზავნილ პაციენტებს, ზეპირად იცოდა ყველა წამლის შემადგენლობის დოზები და ფასები. დიახ, პასუხისმგებლობა დიდი იყო და ამ პასუხისმგებლობასთან ერთად ორი ვაჟის გაზრდა-აღზრდა, მეუღლისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ხელისშეწყობა, თუმცა, თავი ყველაფერს კარგად გაართვა. ყველაფერ ამასთან ერთად კი მას, როგორც კარგ კულინარს ისე იცნობენ სამეზობლოში, სანათესაოსა და კოლეგებს შორის.

ათეული წლები ქალბატონი ცისანა რაიონული აფთიაქის ხელზე გასაყიდი, მზა წამლების განყოფილებას ხელმძღვანელობდა, იმავე შენობაში, რამდენიმე წლის წინათ იმავე ფართში ფარმაცევტული კომპანია „ავერსის“ დაარსების შემდეგ ოპერატორის პოზიციაზეა, კვლავ თეთრი ხალათითა და ჩვეული სერიოზულობით, პასუხისმგებლობით ემსახურება მედიკამენტების შემძენთ.

მზარეულები

ლილი ჭინჭარაძე

დავამთავრე ი. გოგებაშვილის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი და 1977 წლიდან ვმუშაობდი სხვადასხვა ბაღებში აღმზრდელად. 2008 წლიდან კი ვმუშაობ საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღში მზარეულად. მიყვარს ჩემი საქმე და დიდი სიხარულით ვემსახურები პატარებისათვის გემრიელი სადილების მომზადებას.

ქალი მაშინ არის ბედნიერი, როცა შენი შრომის კარგ შედეგს ხედავ.

* * *

ნატო მარიხაშვილი

საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის მზარეული ვარ 1984 წლიდან. მაქვს 30 წლიანი მუშაობის სტაჟი. ჩემი საქმიანობა ძალიან მიყვარს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც პატარები გემრიელად მიირთმევენ ჩემს მიერ გაკეთებულ კერძს და მადლობას მიხდიან გემრიელი სადილისათვის. გულს ძალიან უხარია, როდესაც შემხვდება ხოლმე ჩემი საბავშვო ბაღის აღზრდილი და გამახსენებს, რა გემრიელად მიირთმევდა ჩემს მიერ გაკეთებულ სადილს, რომლის გემო ეხლაც ახსოვს.

* * *

ნინო ჯავახიშვილი

2014 წლის 1 ოქტომბრიდან ვმუშაობ საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღში. ვარ მზარეული. ვემსახურები სამშობლოს მომავალს და ვარ ბედნიერი, როცა ჩვენს პატარებს ჯანსაღი და გემრიელი სადილით უხდებათ დანაყრება. მე ძალიან მიყვარს ჩემი საქმიანობა და მუდამ ხალისით ვასრულებ ჩემს მოვალეობას.

ადამიანს, როდესაც თავისი საქმიანობა უყვარს, ის ყოველთვის გაართმევს თავს ყველანაირ დაბრკოლებას. ყოველი დაბრკოლების გადალახვა კი ქალისთვის დიდი ბედნიერებაა.

საიდან, როგორ იწყება ბედნიერება?!

თეთრ ხალათზე ოცნებით არასოდეს უოცნებია, თუმცა ყოველთვის ფიქრობდა მამის პროფესიას გაჰყოლოდა და პატარების ჯანმრთელობის სამსახურში ყოფილიყო. ნაადრევად ეწვია სიყვარული – VIII კლასში. დედა საგარეჯოს IV სკოლის გახანგრძლივებული სწავლების პედაგოგი იყო, მერვეკლასელი თეაც იმავე სკოლაში გადაიყვანა. აქ კი ტატო დახვდა – ჯანდაგაშვილი. თვითონაც არ იცის, როგორ ამიხსნას, მაგრამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეუყვარდათ და ერთდროულად გამოუტყდნენ ერთმანეთს. ბიჭი გოგოს აჩრდილად იქცა. მწვანეთვალება გოგონასთვის კი მხოლოდ ის ერეთადერთიღა არსებობდა სამყაროში... ძლივს ახერხებდნენ ერთ მერხზე, გვერდიგვერდ დაჯდომასაც კი... დედას კოლეგა მასწავლებლები ედგნენ მხარში. მაგრამ იყვნენ სიყვარულის შემფასებლები და დამფასებლებიც...

17 წლისებმა შექმნეს ოჯახი. ოჯახებმა გადაწყვეტილება მიიღეს – თანაკლასელებს, მეუღლეებს ახლაც ერთად უნდა ესწავლათ და დ. გარეჯელის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ეკონომიკის ფაკულტეტზე განაგრძეს სწავლა. თუმცა თეას ამ პროფესიით არც უმუშავია...

ტატომ ხელი შეუწყო და თეამ თავისი ჩანაფიქრი განახორციელა – გარკვეული კურსების გავლის შემდეგ თეამ საგარეჯოს ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაციის ცენტრში, მამასთან – გივი ჭინჭარძესთან დაიწყო მუშაობა – 1 წლამდე ასაკის ბავშვებს ემსახურება – დისპლაზიურ ბავშვებს მკურნალობს, მათ, ვისაც მენჯ-ბარძაყის სახსრების დისპლაზიის დიაგნოზი აქვს, ან სულაც გამაჯანსაღებლად მოჰყავთ ცენტრში 6 თვის ასაკიდან.

თეას და ტატოს უფროსი შვილი – ნათია დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის III კურსის გრანტოსანი სტუდენტია და პარალელურად თბილისის ქართულ-ინგლისურენოვანი სკოლის ფიზიკის მასწავლებელია. გიორგი კი საგარეჯოს II საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელია.

ამბობენ, ყველანაირი ბედნიერება სიყვარულით მოიპოვებაო, ეს მართლაც ასეა. ამ შემთხვევაში თეას და ტატოს სიყვარულიც გამოდგება მაგალითად.

მართალია, ქრისტიანისათვის ყოველი დღე სიყვარულის დღეა, მაგრამ არც მხოლოდ 15 აპრილი (სიყვარულის დღე) და არც მხოლოდ 10 ივლისი (ოჯახის შექმნის) დღეებია თეასთვის და ტატოსთვის სიყვარულის დღე, მათთვის, ქრისტიანულად მცხოვრებთათვის 365-ვე დღე სიყვარულის დღეა ერთმანეთისათვის, შვილებისთვისაც, ოჯახის სხვა წევრების და საერთოდ ყველას მიმართაც.

კულინარი ოთხი კაბა და ორი შარვალი

ოთხი ქალიშვილი – მაკა, ეკა, ქეთი, ნატალია ერთმანეთის მიყოლებით მოევლინენ ამ ქვეყანას. დედაც და მამაც ბიჭს, გვარის გამგრძელებელს ელოდა, მაგრამ... გვიან, ძალიან გვიან გამოჩნდნენ ბიჭები, თანაც ტყუპები – გიორგი და ზურა. უფლის ნება ალბათ ასეთი იყოო, თქვეს ლია და თემურ დარისპანაშვილებმა და უფალს დღესაც მადლობენ, რადგან ბიჭების მოლოდინში მოვლენილი გოგონები ერთმანეთზე უკეთესები არიან და ამასთან, ერთმანეთის უდიდესი გულშემატკივარნი... მაკას უკვე 3 შვილი ჰყავს, თავად პროფესიით ექთანია. ეკას, ნატალიას ჯერ ოჯახები არ შეუქმნიათ. ქეთის კი – უცხო ენების სპეციალისტს ჯერ მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს. ნატალია მათემატიკოსია, ეკას საბანკო საქმე აინტერესებს, ტყუპებმა ერთად ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, გიორგი ჩაირიცხა, ზურას მხოლოდ ორი ქულა დააკლდა...

დიდი ოჯახის დიასახლისია ლია ქურდოვანიძე, სახლის საქმის გარდა მეუღლესთან ერთად ბოსტანს ამუშავებს, პირუტყვს, ფრინველს უვლის, მაგრამ დიდ ოჯახს ეკონომიური სიძლიერე სჭირდება. ამიტომაც ლიამ მუშაობა ერთ-ერთ საცხობში დაიწყო, სადაც თავის თანამშრომლებთან ერთად მომხმარებელს გემრიელ ხაჭაპურს, ღვეზელებს, ფუნთუშებსა და სხვადასხვა ტკბილეულს სთავაზობს თავისი ხელით გამომცხვარს.

მისთვის შრომა, შვილებისათვის გარჯა, შვილების ჯანმრთელობა და ბედნიერება ყველაზე დიდი ბედნიერებაა. ასევე, ის მადლიერების სიტყვები, რასაც მას, როგორც კულინარს კაფეს სტუმრები უძღვნიან.

მარადიდებელობა

ბზობა

მთავარეპისკოპოსი
ზოსიმე (შიოშვილი)
სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა.

საზეიმო იყო ქმანო უკანასკნელი მსვლელობა მაცხოვრისა იერუსალიმში. იგი სახედარზე მჯდომი და ზღვა ხალხით იყო გარშემორტყმული, როგორც მეფე და მბრძანებელი. დღესასწაულზე წმიდა ქალაქში მრავლად ჩამოსულებმა, გაიგეს რა იესოს გამოჩენა, ხის ტოტებით გამოვიდნენ მის შესახვედრად. ზოგი წინ გაუძღვა, ზოგიც თან გაჰყვა მაცხოვარს, ერთნი სიხარულით ტანსაცმელს უფენდნენ გზას მიმავალს, მეორენი კი - ტოტებს ხისას. მარტო დიდები კი არა, პატარა ბავშვებიც განსაკუთრებულ სიხარულს მოეცვა. ისინი ოსანასა და ვაშას შეძახილით მიეგებნენ მეუფეს ჰურიათას: „ოსანა ძესა დავითისასა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ოსანა რომელი ხარ მაღალთა შინა“ (მთ. 21,9).

მიუხედავად ასეთი საზეიმო შეხვედრისა, მახარებელ ლუკას თქმით, როცა მიუახლოვდა ქალაქს იესო „სტიროდა მას ზედა“ (ლკ. 19,41). რას უნდა ნიშნავდეს ქმანო უფლის ამგვარი მოქმედება? რა ატირებდა მას ერთს, როცა მის ირგვლივ მყოფთ სიხარული დაუფლებოდათ? ნუთუ მას არ ახარებდა სითბო და პატივისცემა, მასთან შეხვდრისას რომ გამოიჩინეს ურიებმა?

იერუსალიმელნი მართლაც მიეგებნენ იესო ქრისტეს როგორც მეუფეს ისრაელისას. ისინი შეხვდნენ ქრისტეს, როგორც ქვეყნიურ მბრძანებელს და არა როგორც მესიას. ებრაელნი ფიქრობდნენ, რომ ქრისტე დაბრძანდებოდა რა დავითის ტახტზე, უპირველესად გაათავისუფლებდა მათ რომაელთა მონობისაგან, შემდეგ კი სხვა ხალხებზეც გააბატონებდა და აურაცხელ ქვეყნიურ სიმდიდრესა და პატივს მოუტანდა. აი, ასეთ მეუფეს ეგებებოდა იერუსალიმი. რამდენს არ ეცადა უფალი თავისი ქვეყნიური მოღვაწეობისას განეფანტა ურიებს შორის ეს მცდარი მოსაზრება, მაგრამ ხალხს სხვანაირი მეუფე და მხსნელი არ, ვერ წარმოედგინა. იცოდა ეს უფალმა და კიდეც განიცდიდა. მაშინ, როდესაც ერთნი საზეიმოდ ეგებებოდნენ ძე ღვთისას როგორც საკუთარ მეუფეს, სხვები - მისი მოწინააღმდეგენი, მწიგნობრები და ფარისევლები, კიდევ უფრო მეტი სიძულვილით განეწყვნენ მის მიმართ და ეძებდნენ მარჯვე მომენტს, რომ მოეკლათ. უფალი იმასაც გრძნობდა, რომ ეს მოზეიმე ხალხი, რომელიც ეხლა ოსანასა და ვაშას შესძახოდა, რამდენიმე დღის შემდეგ მას სრულიად მიატოვებდა და მისი მტრების მხარეზე დადგებოდა. იესომ იცოდა, რომ ხალხი რომელიც საზეიმოდ ეგებებოდა მას მას როგორც მეუფეს ისრაელისას, იგივე მეუფეს რამოდენიმე დღის შემდეგ ჯვარზე სატანჯველად და სასიკვდილოდ გაიმეტებდა.

იესო ქრისტე უფრო შორსაც იხედებოდა: იგი წინასწარ გრძნობდა თუ როგორ შემოერტყმებოდნენ ებრაელი ხალხის მტრები, - რომაელნი, იერუსალიმს გარს, და როგორ აქცევდნენ მას ნანგრევებად, რადგან ურიანი ვერ იცნობენ ქრისტეს როგორც მხსნელსა და მაცხოვარს და გაიმეტებენ მას მოსაკლავად. ამიტომ ამბობდა იგი: „უკეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშვიდობად შენდა. ხოლო აწ დაეფარა თვალთაგან შენთა“ (ლკ. 19,42). უწყოდა ყოველივე ეს უფალმა და ამიტომ ტიროდა. მიუხედავად საზეიმო შეხვედრისა და სიხარულისა უფალი ხედავდა ყოველივეს, რაც მათ გულში იმალებოდა. უფალი ამჩნევდა არა მარტო იმას, რაც მის თვალწინ ხდებოდა, არამედ იმასაც, რაც იმავე ქალაქში მის წინააღმდეგ მზადდებოდა და რაც ამ ქალაქს მომავალში ელოდა.

დღეს ჩვენც ვდღესასწაულობთ საყვარელნო, ქრისტე მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შებრძანებას, დღეს ჩვენც ვეგებებით მას ბზის ტოტებით, როგორც მხსნელსა და მაცხოვარს და მოზეიმე იერუსალიმელთა მსგავსად ჩვენც ვუღაღადებთ მას: „ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“.

მაგრამ, ალბათ როგორც მოზეიმე იერუსალიმელთ, ზოგიერთს დღესაც ქრისტე ძლევამოსილ ქვეყნიურ მეუფედ წარმოუდგენია. ბევრი დღესაც უფალს მხოლოდ იმისათვის მიმართავს, რომ ქვეყნიური სიკეთე გამოსთხოვოს მას. მარტო ქვეყნიურის გამოდევნებამ კი როგორც ვიცით, ურიებს უფრო დიდი სიკეთე - აღთქმული სასუფეველი ღვთისა დააკარგვინა.

ამიტომ გლოცავთ და გევედრებით, საყვარელნო, მივეგებოთ ბზის ტოტებით უფალს ჩვენსას, როგორც ჩვენს სულიერ მხსნელსა და მაცხოვარს; მივეგებოთ უფალს, როგორც მომიჭებელს საუკუნო ცხოვრებისას, მართალთათვის რომ არის განმზადებული ზეცას და ვუგალობოთ საზეიმოდ: „ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“.

ხარება

ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს, რომელსაც წმიდა ეკლესია 25 მარტს (ახ. სტილით 7 აპრილს) აღნიშნავს, ხარება ეწოდება. ამ დღეს ყოვლადწმიდა მარიამთან ერთად მთელ კაცობრიობას ეუწყა, რომ სახიერმა ღმერთმა ადამიანი სიკეთილისა და ცოდვის სამუდამო ტყვეობისათვის ვერ გაიმეტა და ეშმაკის მონობისაგან მისი გამოხსნა გადაწყვიტა. ეს დღე არის დასაბამი „ჩვენი ცხონებისა და გამოჩინება საუკუნოითგან დამალულისა საიდუმლოისა“.

უფალმა იესო ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე აღუთქვა კაცობრიობას, რომ მხსნელს, მესიას მოუვლენდა, რომელსაც შობდა ქალწული და უწოდებდა სახელად ემანუელს, რომელიც ითარგმანება როგორც „ჩვენთარ არს ღმერთი“. ჭეშმარიტად, ღვთის განკაცებით ჩვენთან არს ღმერთი.

და აი, მიავლინა უფალმა მთავარანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქ ნაზარეთში ქალწულ მარიამთან, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე.

წარუდგა ანგელოზი ქალწულს და უთხრა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანაა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“. მარიამი შეაძრწუნა მისმა სიტყვებმა და გაიფიქრა: „ვითარ-მე არს მოკითხვა ესე?“ - რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვაო? ანგელოზმა უთხრა: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა. და აჰა, ესერა შენ მუცლად-იღო და ჰშვა ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“.

მარიამის ძეს ღმერთი დავითის საყდარს ანუ ისრაელის სამეფო ტახტისა და იაკობის სახლზე - ისრაელის თორმეტ ტომზე - საუკუნო (მარადიულ) სუფევას აღუთქვამს. მარადიული მხოლოდ ღმერთია, ხოლო „იაკობის სახლი“ უფლის მხილველი, მორწმუნე ერია, რომელიც სულით უფალთანაა შეერთებული.

ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია ქალწულისაგან უმამაკაცოდ შობა. ღვთისმშობელი, რადგან ქალწულების აღთქმა ჰქონდა დადებული, იკითხავს: „ვითარმე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?“ ანგელოზი მიუგებს: „სული წმიდა მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ“, - და ნიშანსაც აძლევს: მისი ნათესავი, მოხუცი ელისაბედი, უკვე მეექვსე თვეა, რაც მიდგომილია.

მარიამმა, როცა ყოველივე გამოწვლილვით გაიგო, დამორჩილდა, მიენდო უფალს და ღვთის ნებას თავისი ნება შეუერთა: „აჰა მხევალი უფლისა , მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა“. და მეყსეულად შევიდა სულიწმიდა ქალწულის შეუგინებელ ტაძარში.

რითი დაიმსახურა ქალწულმა მარიამმა ესოდენი მადლი ღვთისა, რომ ადამის მთელი მოდგმიდან სწორედ ის აირჩიეს ღვთის განხორციელების მსახურად? იმით, რომ იგი ყოველი სათნოებით იყო შემკული, რამდენადაც ეს ადამიანის ბუნებისთვისაა შესაძლებელი, და იყო ჭეშმარიტი ტაძარი ღვთისა. განსაკუთრებით აღნიშნავენ მის სიმდაბლესა და სიმშვიდეს - სწორედ ამ სათნოებათა გამო გამოირჩია იგი უფალმა.

ქალწულ ღვთისმშობელზე ასეთი გადმოცემა არსებობს: როდესაც იგი ესაია წინასწარმეტყველის წიგნს კითხულობდა, იქ, სადაც წერია: „აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუელ“, - თურმე შეყოვნდა, გაიფიქრა, რა ნეტარი იქნება ის ქალწული, რომელზეც ეს ითქვაო და ღმერთს შეევედრა, მისი ხილვის ღირსი გამხდარიყო, რათა მხევალივით მომსახურებოდა მას.

სწორედ ამ სიმდაბლის გამო იყო, რომ მთავარანგელოზმა ესოდენ სულგრძელად დაუთმო ქალწულ მარიამს, რომელმაც ზეციურ მახარებელს ნათქვამის დამტკიცება და ახსნა მოსთხოვა. არცთუ დიდი ხნის წინ გაბრიელი მდვდელ ზაქარიას გამოეცხადა და შვილის შეძენა ახარა, მაგრამ მდვდელმა არ დაუჯერა, რადგან ისიც და მისი ცოლიც ღრმად მოხუცებულნი იყვნენ. მთავარანგელოზი განურისხდა მას და დაადუმა, ვიდრე წინასწარმეტყველება ახდებოდა. ყოვლადწმიდა ქალწულს კი არამცთუ არ უსაყვედურა, არამედ დიდი კრძალვითა და მოთმინებით დაჯერა იგი და არ განეშორა, სანამ მორჩილებითა და სასოებით აღსავსე სიტყვები არ გაიგონა მისგან. მიზეზი ის გახლდათ, რომ ზაქარიამ თავისი ეჭვით ღრმად დაფარული ურწმუნოება გამოხატა, ყოვლადწმინდა მარიამმა კი - მორჩილება და სიმდაბლე.

ღმერთს არ სურდა, იძულებითა და შიშით აღგვასრულებინოს რომელიმე საქმე ან, პირიქით, დაგვიშალოს რაიმეს კეთება. იგი გულმოწყალეა, სამართლიანი, წმინდა და სურს, ჩვენც ასეთივენი ვიყონ, მაგრამ კი არ გვაიძულებს სიკეთეს, არამედ შეგონებით, დარიგებით, სწავლით, სიყვარულით მივყავართ მისკენ. მას სურს, რომ ჩვენი ნებით აღვასრულებდეთ ყოველ კეთილ საქმეს.

რა იარაღითაც იღვაწა ეშმაკმა ჩვენი დაცემისათვის, იმავე იარაღით გვიხსნა ქრისტემ; თუ ევას საქციელმა ადამის მოდგმას ცრემლი მრავალგზის დაადინა, ქალწულმა მარიამმა უდიდესი სიხარული მოუტანა. ღვთისმშობლის ერთ-ერთი ეპითეტია „განმანათლებელი“, ნიშნად იმისა, რომ სიბნელეში მყოფ კაცობრიობას მის მიერ გამოუბრწყინდა მზე სიმართლისა და მორწმუნეთა გონება განანათლა.

ქრისტე აღსდგა!

დიადი დღესასწაულით დაგვირგვინდა სინანულისა და მარხვის დღეები. ჩვენ ჩამოგვცილდა მარხვის სიმძიმე, მაგრამ ნუ მოვიცილებთ მის ნაყოფს. დადგა დრო მარხვის ტვირთის დატევებისა და მისი ნაყოფის შეგროვებისა. გავიდა დრო მოღვაწეობისა და მუშაკობისა, მაგრამ არ გასულა დრო კეთილი საქმეების კეთებისა. დამთავრდა ხორციელი მარხვა, მაგრამ არ დამთავრებულა სულიერი მარხვა. საერთოდ, მთავარია სულიერი მარხვა, ხორციელი მარხვა ხომ მის ხელშესაწყობადაა დადგენილი. შეიძლება მარხვის დროს მარხულობდე და არ იყო მმარხველი, და პირიქით, შეიძლება ხსნილში არ მარხულობდე, მაგრამ მმარხველი იყო. შეიძლება ეს ჩემი სიტყვები გამოცანად მოგეჩვენოთ, მაგრამ მე აგიხსნით მათ მნიშვნელობას. როგორ შეიძლება მარხულობდე და არ იყო მმარხველი? ეს მაშინ ხდება, როცა ვიმარხავთ თავს არასამარხვო საჭმლისაგან, მაგრამ არ ვიმარხავთ თავს ცოდვებისაგან.

როგორ შეიძლება არ მარხულობდე და მმარხველი იყო? როდესაც ღებულობ

წმინდა იოანე ოქროპირი
ქადაგება აღდგომის დღესასწაულზე

ყოველგვარ საჭმელს, მაგრამ არ ტკბები ცოდვებით, თავს იმარხავ ცოდვისაგან. ასეთი მარხვა უკეთესია და არა მხოლოდ უკეთესი, იგი უფრო იოლიც არის. კიდევაც დაიბანე, კიდევაც იტრაპეზე, ღვინოც მიიღე ზომიერად თუ სურვილი გაქვს, ხორციც შეჭამე, არავინ გიშლის, მაგრამ შეიკავე თავი ცოდვისაგან. ხედავ, რა იოლია ასეთი მარხვა? უმარხულობას ვერ დააბრალებ ფიზიკურ სისუსტეს, იგი მთლიანად სულის მდგომარეობით განისაზღვრება. მაგრამ არ გეგონოს, რომ ვინმე შეძლებს სულიერ მარხვას მანამ, სანამ არ გამოიწრთობა ხორციელი მარხვით.

დღევანდელი დღესასწაული არა მხოლოდ მიწის ბინადართა დღესასწაულია, მას ზეცაშიც ზეიმობენ, სიხარულია დედამიწაზე! სიხარულია ზეცაშიც! და თუ ერთი ცოდვილის ღვთისკენ მოქცევას უდიდესი სიხარული ახლავს ჩვენშიც და ზეცაშიც, მით უფრო მეტია სიხარული დღეს, როდესაც მთელმა სამყარომ დააღწია თავი ეშმაკის კლანჭებს. დღეს ზეიმობენ ანგელოზნი, დღეს ხარობენ მთავარანგელოზნი, ზეიმი აქვთ ქერუბიმებსა და სერაბიმებს.

მათ არ ერცხვინებათ ჩვენთან ერთად აღნიშვნა ამ დღისა! და არა მხოლოდ ანგელოზებს, თვით უფალს არ ერცხვინება თავის შვილებთან ერთად ზეიმი. „სურვილი მაქვს, პასექისა ამის ჭამად თქუენთანა“ (ლკ. 22, 15).

მაშ, როგორ ხარობენ ანგელოზები და მთავარანგელოზები, როდესაც ყოვლის შემოქმედი და მეუფე დღესასწაულობს ჩვენთან ერთად, რაღა საბაბი უნდა დაგვრჩეს მწუხარებისათვის?

ღარიბს ნუ აწუხებს თავისი სიღარიბე, რადგან დღეს სულის ზეიმია.

ნურც მდიდარი იამაყებს თავისი სიმდიდრით, რადგან ამ დღესასწაულის სიხარულს ვერანაირი თანხით ვერ იყიდის.

მიწიერ დღესასწაულებს თან ახლავს თავშეუკავებლობა, მაძღარი ტრაპეზი და ნაყროვანება, მეფობს უხამსობა და სიცილ-ხარხარი, ზეიმობს სატანური ფუფუნება. იქ მართლაც მოწყენილია ღარიბი, მდიდარი კი მხიარულობს. რატომ?

იმიტომ, რომ მდიდარს აქვს შესაძლებლობა გააწყოს მდიდარი სუფრა, იგი ტკბება თავისი სიმდიდრით. ღარიბმა კი რა ქნას? დროის ტარებისთვის არა აქვს ფული.

აქ კი სულ სხვაგვარადაა ყველაფერი. ერთია ტრაპეზი მდიდრისთვისაც და ღარიბისთვისაც. მდიდარს არ ძალუძს რაიმე შეჰმატოს ამ ტრაპეზს, ღარიბს კი სულაც არ სჭირდება ფული მასზე დასასწრებად, რადგან აღდგომის ტრაპეზი ღვთიური მადლია, რომელიც ყველას ეფინება და ყველას დააპურებს, ვინც მას ხელს არ ჰკრავს და არ განერიდება.

სიმდიდრე ვერ დაგაპურებს ღვთიური მადლით, მადლს ვერ შეისყიდი.

სიღატაკე ვერ შეაფერხებს მადლის მიღებას. იგი ღვთიური ძღვენია. ამ ტრაპეზს მეფეც და მონაც ერთნაირად ეზიარება. ხანდახან შეიძლება მონას უმეტესი პატივიც კი ხვდეს წილად, მეფეს მეტი შესაძლებლობა აქვს დაცემისა და თუ ვერ შეინახა თავი, მის მეფურ პატივს ცოდვები აქარწყლებს. ღატაკს კი ფიზიკურად მეტად შეუძლია სიწმინდის დაცვა, რადგან ბევრს მუშაობს და ცოდვის ჩადენისთვის დროც კი არ რჩება.

მაშ, ერთად ვიზეიმოთ ეს დიადი და ნათელი დღესასწაული - ქრისტეს აღდგომა.

ვიზეიმოთ იგი ერთობითა და სიწმინდით.

ქრისტე აღსდგა და აღადგინა სამყარო.

ქრისტე აღსდგა და დაემხო სიკვდილი.

ხედავ, ადამიანო, ძღვენის სიდიადეს? მაშ, შეინახე ეს სიმდიდრე სულში, გაუღე მას გულის კარი! და აივსები სიცოცხლით, სიხარულით, თავისუფლებით და სიყვარულით. ამინ.

უცნობი ბერის წერილი ქრისტიანებს

სიყვარული მრავალ ცოდვას ფარავს, თუ თქვენ იქნებით მწუხარეთათვის ნუგეშინისმცემელი, ბედკრულთათვის – მალხინებელი, ობოლთათვის – მშობელი, სნეულთათვის – მშობელი, სნეულთათვის – განსვენება, მსახურთათვის – გულმოწყალე, გზააბნეულთათვის – მასწავლებელი და ყოველი ქრისტიანისთვის, შეძლებისდაგვარად, გულმოდგინე მსახური, მაშინ თქვენი უმცროსი ძმებისა და ქრისტეს ასოთა მიმართ ასეთი სიყვარულისთვის არა მარტო თქვენი ცოდვები აღიხოცება, არამედ იხილავთ უფალს პირისპირ და განიხარებთ საუკუნოდ. ისიც გვახსოვდეს, არა მხოლოდ სააკუთრის საქმენი გვაცხოვნებენ ჩვენ, არამედ ღვთის მოწყალება. დაე, არ მოგაკლოთ მან თქვენ, ჩემს მეგობრებს, თავისი წყალობა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, ყველამ ისწრაფეთ მოწყალე უფლის, იესო ქრისტესკენ და სასოებდეთ მას მტკიცედ. ეს სასოება არ შეგარცხვენთ თქვენ უკუნისამდე, არ შეგარცხვენთ ჩემი სიტყვები და და არ ჩათვალოთ ისინი ძნელად შესასრულებლად, უფლისთვის და უფალთან ერთად, ყველაფერი, რაც რთულია, ადვილი ხდება და ყოველივე სამწუხარო – არასამწუხარო, რამეთუ უღელი მისი ტკბილია და ტვირთი მისი მსუბუქი.

მიტროპოლიტი ფილარეტი

საღმრთო საიდუმლოს ზიარებაზე მსჯელობისას, ასეთ შედარებას ახდენს: „ჩვენი ღვთიური გამომზრდელი გვთავაზობს თავის ხორცს, – მთელ თავის სხეულს, გვთავაზობს სიყვარულის სიტკბოთი, რომელიც დედის სიყვარულზე მეტიც კი არის, მაგრამ, ამასთან, გვაძლევს თავის ხორცს, მწარე და სასიკვდილო წამებით რომ არის ჩვენთვის შემზადებული... როგორც ხორბალი ექცევა წისქვილის ქვის ქვეშ, შემდეგ ხაბაზის ხელში და გახურებულ ღუმელში, რათა პური გამოცხვეს, რომ განამტკიცოს ადამიანის გული; ასევე ყურძნის წვენი იწურება წნევის იწროებში, რათა იქცეს ღვინოდ, ადამიანის გული რომ გაახალისოს; ასევე ინება ღვთის განხორციელებულმა ძემ, მიეცა თავისი სხეული სხვადასხვა მწუხარებვისათვის – ელეონზე, იერუსალიმში და გოლგოთაზე, დაუშვა, რომ მრავალგვარი ტანჯვით გამოედინა თავისი სისხლი ჯვარის წინ და ჯვარზე წამებისას, რათა იმით მოემზადებინა ჩვენთვის საჭმელი და სასმელი ცხოვრებისა. სამკურნალო, უკვდავი და ნეტარი“.

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს 3 წლის **ნინი აბულაშვილს** და საგარეჯოს I საჯარო სკოლის მეხუთეკლასელ **მარიამ ძურდოვანიძეს**.

გაიზარდეთ, გაიხარეთ და ჩვენც გაგვახარეთ თქვენი კარგი ქალობით!

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ თანამშრომლები

ფეხბურთი

„გარეჯის“ მიზანი ხუთეულში მოხვედრაა

როგორც ვიუწყებოდით, გასული წლის მიწურულს საგარეჯოში ჩამოყალიბდა ფეხბურთის ახალი (დიდების) გუნდი „გარეჯი“, რომელიც მონაწილეობას იღებს საქართველოს ფეხბურთის II ლიგის გათამაშებაში. გუნდის უფროსი მწვრთნელია რეზო ხებრელაშვილი, მეორე მწვრთნელი – გოგა მაისურაძე, მეკარეთა მწვრთნელი – დათო მაისურაძე. გუნდის მენეჯერია თემურ ხუციშვილი. გუნდში სულ 19 ფეხბურთელია გაერთიანებული. მეკარეები არიან აჩიკო ბუზარიაშვილი და ზვიად დარისპანაშვილი, მცველები: აკაკი თედიაშვილი, ნიკოლოზ ხორნაული, ხვიჩა ღვინიაშვილი, რევაზ თარიმანიშვილი, გოჩა ჩიტალაძე; ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებენ თემურ ბარიხაშვილი, ლერი ბარიხაშვილი, დავით ქარსელაძე, ნიკოლოზ ნაზარიშვილი, ზაზა მამასახლისი; თავდასხმაში არიან კოტე ლურსმანაშვილი და ზაზა კობახიძე, სათანდარიგო მოთამაშეებია: შოთა ოკინაშვილი, თორნიკე კევლიშვილი, რომიკო ლაფერიშვილი, რამაზ ხოკერაშვილი, შოთა კაპანაძე.

გუნდმა რა ხანია დაამთავრა ლიგის I წრის გათამაშება და მცირეოდენი შესვენების შემდეგ განახლებული ენერგიით მეორე ტურის გათამაშებაში ჩაება. I შეხვედრა მათ საშინაო მატჩში „გაგრა-II“-თან ჰქონდათ, რომელთაც დამაჯერებელი ანგარიშით 2:0 სძლიეს. ამ გოლების ავტორი „გარეჯის“ თავდამსხმელი კოტე ლურსმანაშვილი გახლდათ. მეორე გასვლით თამაშში „იბერია-2010“-თან გარეჯელთა შეხვედრა საყაიმოდ 1:1-ზე დასრულდა (გოლის ავტორი ზაზა მამასახლისი). ამ ორი თამაშის შემდეგ გარეჯელებმა 0:2 დათმეს თამაში აფხაზეთის გუნდთან, მეორე შეხვედრაში კი „ნორჩ დინამოს“ 1:0 სძლიეს (გოლის ავტორი ნ. ნაზარაშვილი).

როგორც ჩემთან საუბარში გუნდის უფროსმა მწვრთნელმა განაცხადა, ამჟამად 26 ქულით „გარეჯი“ გათამაშების კალენდრის მეშვიდე ადგილზე იმყოფება და როგორც ახლადშექმნილი გუნდი, სამომავლოდ გათამაშების ხუთეულში მოხვედრას გეგმავს. აქვე მან გვთხოვა გუნდის ხელმძღვანელობისა და ფეხბურთელების სახელით ***მადლობა გადაეუხადოთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გზირიშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ფრიდონ ბურდულს და აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორს გია მაისურაძეს იმ გულისხმიერებისა და თანადგომისათვის, რაც მათ გამოიჩინეს „გარეჯის“ ჩამოყალიბებისა და ფინანსური მხარდაჭერის საქმეში.***

გ. დაბახიშვილი

ჭადრაკი

ზუკა გამრეკელაშვილი 8 წლამდელებში საქართველოს ჩემპიონატის I ლიგის გამარჯვებული

17-26 მარტს თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი (I ლიგის გათამაშება) ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. გათამაშება შვეიცარული სისტემით 9 ტურად ჩატარდა. ტურნირზე 9 შესაძლებლობიდან 8 ქულით გაიმარჯვა და ჩემპიონის წოდება მოიპოვა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძის აღსაზრდელმა **ზუკა გამრეკელაშვილმა.**

ამავე ტურნირში გოგონებს შორის III საპრიზო ადგილი დაიკავა მწვრთნელ ელენე ფარეშიშვილის მოწაფემ ნინო ესაიაშვილმა.

ჭიდაობა

საქართველოს პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში

ამ დღეებში ახალციხეში ჩატარდა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში 1998-99 წლიან ფალავანთა შორის, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობას საგარეჯოელი ფალავნებიც იღებდნენ. მათგან იმარჯვა და ჩემპიონი 55 კგ. წონაში გახდა **ამირან დარბაისელი.**

„ევროპის თასის“ ორი საგარეჯოელი ჩემპიონი

საბერძნეთში ჩატარებულ ილიას ილიადისის სახელობის ევროპის თასის გათამაშებაში ძიუდოში მონაწილე საქართველოს გუნდმა ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა. აქედან ორის მფლობელი ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელია. კერძოდ, ტურნირის ჩემპიონები გახდნენ და ოქროს მედლებით დაგვიბრუნდნენ საგარეჯოში ჩვენი ცნობილი ფალავნები: **ირაკლი კუპატაძე** (55კგ) და **კობა მჯედლიშვილი** (81კგ).

ბიჭიკო მარიდაშვილის სახელობის ტურნირი

3-5 აპრილს საგარეჯოში ჩატარდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, ყოფილი სსრკ-ს მრავალგზის პრიზიორის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ბიჭიკო მარიდაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში ჭაბუკებს შორის.

ასპარეზობაში საგარეჯოელებთან ერტად მონაწილეობდნენ: ქუთაისის, ქარელის, ვანის, მცხეთის, წყნეთის, გურჯაანის, სიღნაღის, თელავისა და თიანეთის ნაკრები გუნდები.

ჩვენი სამბისტებიდან ტურნირის ჩემპიონები გახდნენ **ნიკა ბასილაშვილი** და **თორნიკე ჩიტიძე.** მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს **დავით კურდღელაშვილმა** და **ტატო პაპუნაშვილმა**. III პრიზიორები გახდნენ **იოსებ დურიშვილი** და **თამაზ მეკოკიშვილი**. სიგელებთან და მედლებთან ერთად დაწესებული იყო ბიჭიკო მარიდაშვილის სახელობის თასი, რომელიც 55კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ საგარეჯოელ **ნიკა ბასილაშვილს** გადაეცა.

ხსოვნა

გივი ნაცვლიშვილი

10 წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ძალიან ენატრები შენს ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, შენს ახლობლებს, მეგობრებს, შენს ყოფილ მოსწავლეებს, რომლებიც ხშირად გიხსენებენ ცრემლიანი თვალებით, შენ ხომ მთელ თაობებს შეაყვარე, აზიარე ხალხური ცეკვის ხელოვნებას. 22 წლის ასაკიდან ემსახურებოდი ამ საქმეს. ბევრი მიღწევებიც გქონდა – საგარეჯოს რაიონულ ღონისძიებებში აქტიურად იღებდნენ მონაწილებას შენი მოცეკვავეები, გამოდიოდნენ ოლიმპიადებში გომბორიდან, კოჭბანიდან, ხაშმიდან, გიორგიწმინდიდან, სადაც ყოველთვის საპრიზო ადგილებს იკავებდნენ და ამ წარმატების შედეგი იყო ის, რომ მოცეკვავეთა ანსამბლი მიწვეული იყო არტეკში, სადაც წარმატებით ჩაიარა კონცერტებმა.

მოღვაწეობის პერიოდში იყავი საგარეჯოს მოცეკვავეთა ანსამბლის აქტიური სოლისტი, სადაც მონაწილეობას იღებდი რაიონულ, რესპუბლიკურ და საკავშირო ღონისძიებებში (მოსკოვში). 40 წლიანი მოღვაწეობის პერიოდში დიდი სიყვარული დაიმსახურე შენს მოსწავლეებში, მათ მშობლებსა და მეგობრებში, რომლებიც ხშირად გიხსენებენ, არა მარტო სახელოვნებო წარმატებაში, არამედ შენი იუმორით, რომელიც ბუნებით უხვად გქონდა მონიჭებული.

ძალიან გიხაროდა, როდესაც შენმა შვილმა შენი გზა აირჩია და წარმატებით ემსახურება ხელოვნებას.

დიდხანს დარჩები შენი ოჯახის, მეგობრების და ახლობლების გულებში.

და

ნინო ნაცვლიშვილი-ოსიყმიშვილი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი: თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru